# უნიქარდის აქცია „Welcome Points“

## 1. აქციის მნიშვნელოვანი პირობები

1. **აქციის პერიოდი** : 2016 წლის 1 მაისიდან - 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით.
2. **აქციის სეგმენტი:** ბარათის მფლობელები, რომლებიც აქციის პერიოდში პირველად განახორციელებენ საბარათე ოპერაციას უნიქარდის პარტნიორ კომპანი(ებ)ში წინამდებარე პირობების შესაბამისად.
3. **აქციის ძირითადი პირობა**: ბარათის მფლობელები (აქციის სეგმენტი), რომლებიც აქციის პერიოდში პირველად განხორციელებენ უნიქარდის საბარათე ოპერაციას კომპანიისგან დამატებით საჩუქრად მიიღებენ 50 (ორმოდაათი) ქულას შემდეგი პირობების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში:
   **ა.** აქციის პერიოდში პირველად განხორციელებული საბარათე ოპერაციიდან მომდევნო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უნიქარდის ბარათზე დაფიქსირდება მინიმუმ 100 (ასი) ლარიანი ქულების დაგროვების ბრუნვა ნებისმიერ პარტნიორ კომპანიებში;
   **ბ.** ბარათის მფლობელის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, მობილური ტელეფონი, დაბადების თარიღი რეგისტრირებულია კომპანიაში/უნიქარდის ბაზაში, ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშზე.

## 2. აქციის დამატებითი პირობები

1. აქცია სრულად ვრცელდება ძირითად და დამატებით ბარათებზე, ასევე ვირტუალურ ბარათზე, თუ:
   ა) ვირტუალური ბარათი დაკავშირებულია აქციაში მონაწილე ბარათთან; ან/და
   ბ) საბარეთე ანგარიში, რომელზეც დაკავშირებულია ვირტუალური ბარათი, გახსნილია აქციის პერიოდში.
2. აქციით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქულების უნიქარდის საბარათე ანგარიშზე ასახვა განხორციელდება 2 ეტაპად: ბარათებისთვის, რომლებმაც 1 ივნისამდე დააკმაყოფილეს აქციის პირობა - 10 ივნისს, ხოლო 1 ივნისის შემდეგ პირობის დაკმაყოფილებისთვს - 11 ივლისს.
3. შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“ იტოვებს უფლებას საბარათე ოპერაციები გადაამოწმოს საეჭვო ოპერაციებზე, საეჭვო ოპერაციის აღმოჩენის/გამოვლენის შემთხვევაში კომპანიის მიერ ქულების ჩუქება/დარიცხვა არ განხორციელდება.